საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12599/01
07/12/2021

12599-01-2-202112071217

შპს „დასს“
მის: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, მექანიზაციის ქუჩა №1

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 5 ნოემბრის N19826 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, საღებავების წარმოებას და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი არ არის საწარმოს გენ-გეგმა და ექსპლიკაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოში გამოყოფილია შესაბამისი ტერიტორია, სადაც ხდება საჭირო ნედლეულის დროებით დასაწყობება, თუმცა განხილული არ არის აღნიშნული ტერიტორიის ფართობი, პარამეტრები და ნედლეულის დასაწყობების უსაფრთოხების ნორმებთან შესაბამისობის საკითხები;
- წარმოდგენილი არ არის იმპორტირებული ნედლეულის სასაქონლო ნომენკლატურის კოდები;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოში სახიფათო ნარჩენების მართვა ხდება შესაბამისი წესებისა და ნორმების დაცვით, თუმცა სახიფათო ნარჩენების მართვის კონკრეტული ღონისძიებები არ არის დაზუსტებული;
- წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია გამწოვი სისტემის ტიპისა და პარამეტრების შესახებ;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044